



გარეჯის მაცნე

საბარაჯოს მუნიციპალიტეტის საინფორმაციო ბაზეთი №6(284) 2023 წ. 16-31 მარტი ფასი 1 ლარი

21 მარტი ქართული ჟურნალისტიკის დღეა!

თელავში 21 მარტს

ქართული ჟურნალისტიკის დღე აღინიშნა

თელავის ტექნოპარკში, ქართული ჟურნალისტიკის დღესთან დაკავშირებით ღონისძიება გაიმართა.

ღონისძიებაზე მოწვეული იყვნენ კახეთის რეგიონში მოქმედი მედიასაშუალებების წარმომადგენლები.

მოწვეულ აუდიტორიას კახეთის სახელმწიფო რწმუნებულმა ბიორბი ალადაშვილმა მისასალმებელი სიტყვით მიმართა, მედიის წარმომადგენლებს პროფესიული დღე მიულოცა და მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელებთან ერთად სიმბოლური საჩუქრები გადასცა.

უნივერსიტეტის პროფესორმა, თენგიზ სიმაშვილმა ქართული ჟურნალისტიკის შესახებ დეტალური პრეზენტაცია წარუდგინა აუდიტორიას.

ქართული ჟურნალისტიკის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში კახეთის რეგიონის თვითმმართველობების ხელმძღვანელმა პირებმა, თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესიული კოლეჯის დირექტორმა, დაავადებათა კონტროლის კახეთის რეგიონული სამსახურისა და რეფერალური საავადმყოფოს ხელმძღვანელებმა მიიღეს მონაწილეობა.



სახალხო დღესასწაული ნოვრუზ-ბაირამი მიულოცეს

საბარაჯოს მუნიციპალიტეტის მერი - ავთანდილ ბულიკაშვილი კახეთის სახელმწიფო რწმუნებულთან, ბიორბი ალადაშვილთან და მოადგილესთან ბიორბი ლალიაშვილთან ერთად აზერბაიჯანელებით დასახლებულ სოფლებს ესტუმრა, სოციალურად დაუცველ ოჯახებს სასურსათო ამანათები გადასცა, ადგილობრივებს სახალხო დღესასწაული - "ნოვრუზ ბაირამი" და რამაზანის დიდმარხვის დაწყება მიულოცა.



ღასასრული მმ-8 გვერდზე

პროფესიული დღე

ქართული ჟურნალისტიკის დღესთან დაკავშირებით, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერი, ავთანდილ ბულიკაშვილი ადგილობრივი გაზეთის "გარეჯის მაცნე"-ს თანამშრომლებს რედაქციაში პირადად ესტუმრა, პროფესიული დღე მიულოცა, გაწვეული საქმიანობისთვის მადლობა გადაუხადა და სიმბოლური საჩუქრები გადასცა.



ჩვენს აზერბაიჯანელ თანამოქალაქეებს გულოცავ ნოვრუზ ბაირამს!

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერი
ავთანდილ ბულიკაშვილი

Azərbaycanlı soydaşlarımızı Novruz bayramı münasibəti ilə təbrik edirəm!

Saqareco bələdiyyəsinin meri
Avtandil Qulikaşvili

Saqareco bələdiyyəsinin meri - Avtandil Qulikaşvili Kaxeti dövlət qəyyumu Giorgi Aladaşvili və onun müavini Giorgi Laliaşvili ilə birlikdə azərbaycanlıların six yaşadığı kəndlərə baş çəkib, yerli sakinləri bayram - "Novruz bayramı", Ramazan ayının başlanması münasibətilə təbrik edib. Oruc tutan, sosial cəhətdən həssas ailələrə ərzaq bağlamaları paylanmışdır.

2009-cu il sentyabrın 28-də YUNESKO-nun zirvə toplantısında Novruz bayramı rəsmən bəşəriyyətin qeyri-maddi mədəni irs siyahısına daxil edilib və 2010-cu ildə Birləşmiş Millətlər Təşkilatının Baş Assambleyası onu beynəlxalq gün kimi tanıyıb. 2010-cu ildə Gürcüstan hökumətinin qərarına əsasən martın 21-i milli bayram elan edilib.



ღასასრული მმ-8 გვერდზე

ტურიზმის განვითარებისათვის ხელსაყრელი და მიმზიდველი გარემო

საბარაჯოს მუნიციპალიტეტის მერი - ავთანდილ ბუღიაშვილი, მოადგილე ბიორ-ბიო ლალიაშვილიან, ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის ხელმძღვანელ - ბიორბი ჭურჭიაშვილიან და ტურიზმის განვითარების, საგარეო ურთიერთობების და საერთაშორისო პროექტების განყოფილების უფროსთან - მთიან ბრატიაშვილიან ერთად, კახეთის დანიშნულების მართვის ორგანიზაციის DMO Visit kakheti-ს - წარმომადგენლებს შეხვდა.

შეხვედრის მიზანი, მდგრადი ტურიზმის განვითარების მიმართულებით, გასატარებელი ღონისძიებებისა და სერვისების შესახებ შემუშავებული 2023 წლის სტრატეგიის განხილვა იყო, რომლის შესახებაც ქმედითი ნაბიჯების გადადგმა უკვე დაწყებულია და გრძელვადიანი პერსპექტივის ფარგლებში, დასახული გეგმების თანმიმდევრული პრინციპით განხორციელება მიმდინარეობს.

2023 წლის სამუშაო გეგმის პრეზენტაციისას ბატონმა ავთანდილ ბუღიაშვილიანმა გარკვეული რეკომენდაციები გასცა, რათა საგარეო მუნიციპალიტეტში ტურისტული მიმართულებით მეტად ხელსაყრელი და მიმზიდველი გარემო შეიქმნას.

მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარების მიმართული შემოსავლების გაზრდისა და დარგის მნიშვნელობის ამაღლების მიზნით სხვადასხვა ღონისძიებები დაიგეგმა, რომელიც ეტაპობრივად განხორციელდება.



ბარე კახეთი ბაზაფხულს და ტურისტულ სეზონს ემზადება მანავი

ტურისტული სეზონის მოახლოებასთან დაკავშირებით, სოფელ მანავი მანავის ციხის მიმდებარე ტერიტორიაზე გადაბეჭვისა და დასუფთავების სამუშაოები ინტენსიურად მიმდინარეობს.

ღონისძიებაში აქტიურად არის ჩართული ადგილობრივი მოსახლეობა.



უჯარმა

უჯარმა რესურსების დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით სოფელ უჯარმაში დასუფთავების აქცია ჩატარდა.



სოფელ შიბლიანში შენდება მრავალფუნქციური სასტუმრო კომპლექსი

სოფელ შიბლიანში მრავალფუნქციური სასტუმრო კომპლექსის მშენებლობის წინა მოსამზადებელი სამუშაოები დაიწყო

მრავალფუნქციური სასტუმრო კომპლექსი-უნიკალური შთაბეჭდილება, რომელიც სიცოცხლით სავსე ქართულ ბუნებასა და კულტურას მაღალტექნოლოგიურ ტურისტულ ცენტრთან აერთიანებს.

56 376 კვ/მ ტერიტორია;

ბევრი საინტერესო შეთავაზება...

აღნიშნული საინვესტიციო პროექტი, უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური ტრამპლინია საგარეო მუნიციპალიტეტის ისტორიაში, რაც თავისთავად უზრუნველყოფს ადგილობრივი მაცხოვრებლების ეკონომიკურ წახალისებას.

ასეულობით სამუშაო ადგილის შექმნა, ტურიზმის განვითარების კიდევ ერთი თვალსაჩინო და შთაბეჭდილებების მდგრადი გარემო რეზორტის სახით - გაიხსნება პორიზონტს მიღმა!

აღნიშნული პროექტის განხორციელების შედეგად, შიბლიანი ერთ-ერთ წამყვანი, ტურისტული ცენტრის სახით იქნება რეგიონში წარმოდგენილი.

სოფელ შიბლიანის უმსახე

საინტერესოა რას ამბობს ისტორიკოსი ალ. ელიშვილი ამ სოფლის შესახებ.

„საგარეო რაიონის ყველაზე განაპირა სოფელს შიბლიანი წარმოადგენს. იგი ტიპური ქართული სოფელია თავისი დამახასიათებელი კოლორიტით, ხალხის ზნე-ჩვეულებებით, ტრადიციით. შიბლიანში მხოლოდ ქართველები ცხოვრობენ, ძირითადად ძირკველი შვილები, ჩოკო შვილები, ხურო შვილები, საღუნა შვილები, ჭამია შვილები, ზირაქა-შვილები, ბუგია შვილები, ნათენაძეები, სირაძეები, კოლოტაძეები. ძირკველი შვილების ერთი ნაწილი ნათენაძეები ყოფილან, ჭამია შვილების რამდენიმე კომლი - მისურაძეები. აქედან არიან წასულელები მეშველი შვილები, ბაზრია შვილები, ნაცელი შვილები.

ძირკველი შვილები და ჭამია შვილები დევისმშობლის სახელობის ეკლესიის გარშემო ყოფილან დასახლებულნი და ამასთან, საეკლესიო გლეხები იყვნენ.

ადრე შიბლიანზე ვაღიოდა ჩაილურიდან სიღნაღისკენ და საერთოდ, კახეთისკენ მიმავალი გზა.

შიბლიანი მოხერხებული იყო გეოგრაფიული მდებარეობით. იგი უფრო უკეთ იცავდა თავს მტერთა ურიცხვი შემოსევებისაგან XVII საუკუნის დასაწყისში. ისტორიული წყაროებით კაკაბეთი და ყანდაურა საშინლად აოხრდა შაჰ-აბასის შემოსევებისას. სასწაულად გადაარჩენილი ტყვეს შეფარებული შიბლიანელები აპტონობდნენ ახლო-მახლო გადაარჩენილ მოსახლეობას.

როცა მშვიდობა დამყარდა, მათ გარშემო სოფლებში კვლავ მომრავლდა დასახლებები და გააშვირდა კიდევ დაეგები კაკაბელებსა და შიბლიანელებს შორის სადაო მამულების შესახებ.

1700 წლის ერთ-ერთი განჩინებაში ვკითხულობთ: „კაკაბელი და შიბლიანელი მიწა-წყალზე შუღლობდნენ. მოვედით და ენისელთ მოურავი ნოდარ და ენისელთ მოურავის შვილი ზარაბ, ჯანდიერას შვილი გივი მოიყვანათ, ორივე ვალაპარაკეთ, მთა-პარი გავეუსინჯეთ და ისე გავეყავით, შევარჩეთ“.

იორზედ სახელთუცის ობა რომ არის ყოფას პირისპირ, გზა რომ გამოვა, ის ჭალა შიბლიანელთ საწისქვილედ დაგანებეთ და წისქვილებს გარდა სამჭმოთ კაკაბელთ დაგანებეთ: იმის ქვემოთ ზაგრის ობას პირდაპირ აპტარა თუთა არის ერთი, სამხდვარი ის არის. იმის იქით ტყე სწორად ჭამონ, საერთოდ იყოს. ყანდაურიანი წყლითვე კაკაბელთ დარჩა,



თუ შიბლიანელთა ბოლოს საძოვარი ბაღახი კაკაბელთ არ დაუშალონ, კაკაბელთ შიბლიანელთ წყალი არ დაუჭირონ, თუ ერთმანეთში მეზობლურად შერიგდნენ ხენა და თესვა არ დაუშალონ.“ (ქართული სამართლის ძეგლები. ტ. IV. გვ. 181-182).

შიბლიანი ძირითადად თავისუფალი თემი იყო, მაგრამ მიწა-წყლის დიდი ნაწილი და ნაწილობრივ ყმებიც - ახლანდელი ბაღახური, ბოგდანოვის (შხისველი), იორმულანლოს და დუზაგრამის მთელი ნაწილი მიწა-წყალი, სახნავ-სათესი, ტყეები და წისქვილები კახეთის უძლიერეს თავადებს ანდრონიკაშვილებს ეკუთვნოდათ.

1721 წლის კახეთის კამერალური აღწერით ქაიხოსრო ანდრონიკაშვილს ეკუთვნოდა 21 კომლი ყმა, ხოლო სახაზინო იყო (ე.ი. მეფის საკუთრება) 20 კომლი.

შიბლიანელები ეპარქიალურად ჭერემ-ქალაქის მღვდელმთავარს ექვემდებარებოდნენ, მაგრამ მე-18 საუკუნის დასაწყისში საქართველოს ძნელბედობის უამრს ირანულ და თურქ დამპყრობელთაგან განადგურების პირას მისულ ქვეყანას დაღესტნელი აბრავები შემოესივნენ. ჭერემის სამწყსო გაუკაცრიელდა, თემი მურაზ მეთრემ იგი გააუქმა და შიბლიანი ნინოწმინდის ეპარქიას შეუერთა.

ანდრონიკაშვილებმა შიბლიანის ადგილ-მამულები ჩალის ფასად გაყიდეს. შიბლიანის უმდიდრეს ადგილებში სხვა სოფლები აღმოცენდნენ.

რაც შეეხება სწავლა-განათლებას, შიბლიანში სკოლა არ იყო. წერა-კითხვას სწავლობდნენ დევისმშობლის სახელობის ეკლესიაში მღვდელ ზურაბაშვილთან (იგი აკადემიკოს ავლიპ ზურაბაშვილის მამა იყო). აქ იზრდებოდა მომავალი ექიმი-აკადემიკოსი ავლიპი. აქვეა დასაფლავებული ვინმე ზურაბაშვილი.

როცა ეკლესიაში მღვდელმსახურება აღარ იყო, მღვდელი ზურაბაშვილი გადავიდა სიღნაღში - წმ. ნინოს სახელობის ეკლესიაში.

ამჟამად დევისმშობლის სახელობის ეკლესია (VI საუკუნეში აშენებული) რესტავირებულია, რომელიც შიბლიანის მოსახლეობის მიერ იქნა აღდგენილი, შემოიღობა ეკლესიის ეზოც.

რესტავრაცია ჩატარდა წმ. თევდორეს სახელობის ეკლესიასაც. სოფელში მრავლად ყოფილა ქრისტიანული სალოცავები, რომელთაგან სადღესიოდ შემორჩენილია დევისმშობლის, კეირაცხოვლის, წმინდა თევდორეს, ყველაწმინდის. აქედან სოფლის მოსახლეობის ძალებით აღდგენილია სოფლის ჩრდილო-დასავლეთით მაღალ გორაკზე მდგარი დევისმშობლის სახელობის ეკლესია.

სოფლის ისტორიული წარსულის დასტურად აქ მრავალი ადგილის ტოპონიმია შემორჩენილია, „საყარაულო გორა“, „თავდამყურე ციხე“, „თაღიას გორა“, „ციხის ფერდა“, „ჯვარავაზა“, „ნაშარალი“, „ნაციხარი“, „სიძმარა“ და სხვა, სადაც მიწის დამუშავების დროს უამრავ არქეოლოგიურ მასალებს აწყდებოდა აქაურები.

სოფლის ტერიტორიაზე უამრავი წყარო ყოფილა, საიდანაც სადღესიოდ 14-ია მოღწეული: „დღინიას წყალი“, „წანწყარა“, „ქულასხევის“, „ბაღის წყალი“, „ბაჩას ხევის“, „სიზმარას“, „კოდების“, „მეხების“, „ხარულელას“, „უძიროს“, „კუს წყარო“, „ბრმა წყარო“, „ყარაღას ხევის“ წყლები და წყაროები.

ინფრასტრუქტურა-2023

გაეროვნული, მიწის

საკონსტრუქციო კომპლექსი გერია

გაეროვნული კომპლექსის მოწყობა განხორციელდა, სიკეთისკენ სწრაფის სურვილი, ისახება ახალი კორპორაციები უამრავი სასიკეთო საქმეების საკეთებლად. მართალია, არც ჭირვეულ და უხეთოვლიან ზამთარში შენელებულა ის ინფრასტრუქტურული პროექტებით დაგეგმილი სამუშაოები, რასაც ქალაქის, სოფლების კეთილმოწყობა, ათეული წლებით დაგროვილი პრობლემების მოგვარება მოჰყვა, მაგრამ გაზაფხული, ბუნების გამოდიება მინც სხვანაირ მუშაობას, სხვანაირ შემართებით მუხტს გვაძლევს...

საგარეჯოს მუნიციპალიტეტში მართლაც არ შენელებულა აღმშენებლობის ტემპი, რომელიც ბოლო წლებია დაიწყო - მოსაფაღტრად ისეთი ქუჩები, შესახვევები, სადაც არასოდეს, საგარეჯოს არსებობის დღიდან, არ ყოფილა ასფალტის საფარი, შეკეთდა წლობით შეკეთების მომლოდინე სარწყავი და სანიაღვრე არხები, სოფლებში მოეწყო სტადიონები, მინი-მოედნები, რომლებსაც ათეული წლებით ელოდა არაერთი თაობა, სასმელი წყალი მიიღო სოფლის მოსახლეობამ, სადაც გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან შეკეთებას ითხოვდა ამორტიზებული, სასმელი წყლის მიწით ამოვსებული მაგისტრალები, შეკეთდა, სახე შეიცვალა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების გარეფასადებები...

თუმცა... საკეთებელი კიდევ ბევრია და საამისოდ სამოქმედო გეგმაც შედგენილია. თუ რა კეთდება და რა გაკეთდება უახლოეს მომავალში და კონკრეტულად 2023

წელს საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, წარმოგდგენთ

მრავალფეროვანია 2023 წლის ინფრასტრუქტურის, მშენებლობის, არქიტექტურის კუთხით დანახული საგარეჯოს მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი პროექტები. ჩვენი გაზეთის მეთხველმა კარგად იცის, რომ 2021-2022 წლიდან დაიწყო მიზანმიმართული მუშაობა თითოეულ კომლამდე სასმელი წყლის მიყვანის, გზების მოწესრიგების, მინი-მოედნებისა და სპორტული მოედნების მოსაწყობად. დაიწყოთ სასმელი წყლის მაგისტრალური მილსადენისა და რეზერვუარის მოწყობაზე საუბრით. ეს უდიდესი, ვფიქრობთ, საუკუნის პროექტი იორმუდანლოს მოსახლეობის სასმელი წყლით მომარაგებისთვისაა მიმართული. ამ პროექტის განხორციელებას მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან 1 მილიონ 019327 ლარი მოხმარდება. სოფელი ერთობ მრავალრიცხოვანია, აქ არსებული საუბნო ონკანები ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნებს, რომელსაც დღევანდელი უყენებს თითოეულ ოჯახს.

სოფელ კაკაბეთში ორიოდ წელია მოსახლეობა ახლად ამოქმედებული სისტემიდან მარაგდება სასმელი წყლით. აქ მოგვხსენებთ, საუბნო ონკანები ვერ აკმაყოფილებდა აქაურთა მოთხოვნებს, მაგრამ მოხერხდა მოსახლეობისათვის მართლაც

საუკუნოვანი პრობლემის მოგვარება, მაგრამ როცა მაგისტრალი ექსპლოატაციაშია, მას ხელის შეშელებაც და დაზიანებული მილების ამოცვლაც ესაჭიროება, ამიტომ აქ წყალმომარაგების სისტემის დაზიანებული მილის ამოსაცვლელად 392031 ლარი იქნა მიმართული საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან.

რაც შეეხება გზებს:

კაკაბეთში არსებულ სასაფლაოსთან მისასვლელი გზის მოსაასფალტებლად რეგონული განვითარების ფონდიდან 937840 ლარია მიმართული.

ძალაძე საბარაქოში

ამ დღეებში მიმდინარეობს ქალაქ საგარეჯოში არსებული წიფლისხევის ქუჩის მოსაფაღტრების სამუშაოები, რომელიც საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან 829980 ლარით ფინანსდება.

გიორგი ბრწყინვალის შესახვევის მოსაასფალტებლად საქართველოს რეგონული განვითარების ფონდიდან 453552 ლარია მიმართული.

არაფიშვილის პირველი შესახვევის მოსაასფალტებლად, ასევე, საქართველოს რეგონული განვითარების ფონდიდან 213866 ლარი იქნება გახარჯული.

ალაზნის ქუჩის IV ჩიხის მოსაასფალტებლად, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან 57513 ლარია;

- ალაზნის ქუჩის მეექვსე ჩიხის - 55994 ლარი - ადგილობრივი ბიუჯეტიდან.

თბილისის ქუჩის პირველი შესახვევის კი - 140680 ლარი - ადგილობრივი ბიუჯეტიდან.

მიმდინარე 2023 წელსაც გრძელდება ქალაქ საგარეჯოში არსებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ფასადებისა და სახურავების რეაბილიტაცია. ასე, მაგალითად:

ძალაძე საბარაქოში

1. კოსტავას ქ. №12 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ფასადისა და სახურავის რეაბილიტაციაზე 426751 ლარია მიმართული;

2. კოსტავას ქ. №14 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ფასადის სარეაბილიტაციოდ - 164882 ლარი;

3. კოსტავას ქ. №16 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ფასადისა და სახურავის სარეაბილიტაციოდ - 544177 ლარი;

4. კოსტავას ქ. №17 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ფასადის სარეაბილიტაციოდ - 284245 ლარი;

5. კოსტავას ქ. №18 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ფასადისა და სახურავის სარეაბილიტაციოდ - 571208 ლარი;

6. კოსტავას ქ. №20 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ფასადისა და სახურავის სარეაბილიტაციოდ - 516713 ლარი;

მართალია, ბევრი რამ გაკეთდა, კეთდება, მაგრამ საკეთებელიც ბევრია, რაც თანდათანობით იერ-სახეს შეუცვლის მუნიციპალიტეტს.

საბარაქოს მუნიციპალიტეტის მერიამ ელექტრონული ტენდერის საშუალებით, 706 300 ლარის ღირებულების ორი ერთეული სპეცტექნიკა,

ექსკავატორ - დამტვირთველი და გრეიდერი შეიძინა, აქედან ერთ-ერთი, უკვე აღმინისტრაციულ ერთეულში სხვადასხვა სამუშაოს განსახორციელებლად ა.ა.ი.პ. სასმელი წყლის რეგულირებისა და ლაბორატორიული კვლევის ცენტრს გადაეცა.



საცხოვრებელი სახლები

ძ. საბარაქოში, კოსტავას ქუჩაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ფასადების სარეაბილიტაციო სამუშაოები დაიწყო.

პროექტი რეგონში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ფინანსდება.

სამუშაოები ეტაპობრივად განხორციელდება და მიმდებარე კორპუსების ფასადების აღდგენით სამუშაოებს სრულად მოიცავს.



გზები

საბარაქოს მუნიციპალიტეტში საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება გრძელდება. ქ. საგარეჯოში, წიფლისხევის ქუჩის 2023 წლის გეგმით გათვალისწინებული მონაკვეთის მოსაფაღტრება დაიწყო.

აღნიშნული პროექტი ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება და მისი ჯამური ღირებულება 713 096 ლარს შეადგენს.

მიმდინარე წელს განსაზღვრული პროექტების მიხედვით, დარჩენილი შენაკადების სამუშაოები 2023 წელს არის დაგეგმილი და ეტაპობრივად განხორციელდება.



ქეთი ბრატიაშვილი, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის პრესსპიკერი

მილოცვა

დაბადების დღეს ვულოცავ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერს ბ-ნ **აშოანდომ ბულიკაშვილს**.

ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერ ცხოვრებას, მუნიციპალიტეტის კეთილდღეობისათვის წარმატებულ სეზონს

შპს „საგარეჯოს“ დირექცია და თანამშრომლები

აიპ „საგარეჯოს სათნოების სახლი“ დაბადების დღეს ულოცავს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერს ბ-ნ **აშოანდომ ბულიკაშვილს**. ვუსურვებთ იმ მიზნებისა და ამოცანების წარმატებით განხორციელებას, რაც ჩვენი მუნიციპალიტეტის კეთილდღეობისა და კეთილმოწყობისათვის აქვს დასახული.

აიპ „საგარეჯოს სათნოების სახლი“

სრულფასოვანი ინტეგრაციისათვის

დაუნის სინდრომის მსოფლიო დღესთან დაკავშირებით, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლები ცნობადობის ამაღლების კამპანიას ტრადიციულად წელსაც შეუერთდნენ. ადმინისტრაციული შენობის მისაღებ სივრცეში საინფორმაციო კუთხე მოეწყო.

აღნიშნული მიმართულებით მუშაობა აქტიურად გაგრძელდება და დაუნის სინდრომის მქონე თანამოქალაქეთა სრულფასოვანი ინტეგრაციისათვის ქმედითი ნაბიჯები გადაიდგმება.

ჩვენი მიზანია, ვიზრუნოთ მათი თვითრეალიზაციის პირობების შესაქმნელად.



სახალხო ღმესასწაული ნოვრუზ-ბაირამი მიულოცეს

დასასრული

2009 წლის 28 სექტემბრის იუნესკოს სამიტზე ნოვრუზი ოფიციალურად შეიტანეს კაცობრიობის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის სიაში, ხოლო 2010 წელს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ საერთაშორისო დღედ აღიარა. 2010 წელს, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, 21 მარტი ეროვნულ დღესასწაულად გამოცხადდა.

ტრადიციის მიხედვით, ამ დღეს ყველა ოჯახში მწვანე ჯეჯილი უნდა იყოს. ასევე, იღებენ კვერცხები და ცხევენ ტკბილეული.

21 მარტს დღისა და ღამის გათანაბრების, ჰაერის გათბობის, თოვლის დნობის დაწყების, ხეებზე ყლორტის გამოსვლისა და დედამიწის გამოცოცხლების, ანუ სიცოცხლის დაწყების დღედ მიიჩნევენ და შესაბამისად, ნოვრუზ ბაირამიც გაზაფხულის შემოსვლის დღესასწაულია.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერი აშოანდომ ბულიკაშვილი, კახეთის სახელმწიფო რწმუნებულთან, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან და რესურს-სენტრის ხელმძღვანელ ლევა ზანოზიშვილიან ერთად სოფელ ლამბალოს საჯარო სკოლაში ნოვრუზ ბაირამის დღესასწაულისადმი მიძღვნილ ღონისძიებას დაესწრო.

მოსწავლეებმა პერფორმანსის სახით წარმოადგინეს ტრადიციული დღესასწაულის მნიშვნელობა და არაერთი ლექსით და სიმღერით წარსდგნენ სტუმრების წინაშე.

ავთანდილ გულიკაშვილმა აზერბაიჯანულ თანამოქალაქეებს ბაირამის დღესასწაული მიულოცა და კიდევ ერთხელ აღნიშნა:

- ჩემო თანამოქალაქეებო, გილოცავთ ნოვრუზ ბაირამს და გაზაფხულის შემობრძანებას, რამაზანის დიდმარხვის დაწყებას! დღეს, აქ იმისთვის ვარ, რომ ეს დღესასწაული თქვენთან ერთად ვიხეიძოთ და თქვენი სიხარული გავიზიაროთ. მინდა მადლობა გადაგიხადოთ ამ ღონისძიებისთვის ორგანიზატორებს, გაწეული შრომისთვის - პედაგოგებს, მოსწავლეებსა და მშობლებს.

Ənənəyə görə, bu gün hər ailədə yaşıl səməni olmalıdır. Həmçinin, yumurtalar boyanır, şirniyyatlar bişirilir.

Martın 21-i gecə ilə gündüzün bərabərləşməsi, havanın isinməsi, qarların əriməsi, ağacların cücərməsi və yerin dirçəlməsi, yəni həyatın başlanğıcı günü hesab olunur və buna görə də Novruz bayramı həm də xalqın bayramıdır, baharın gəlişidir.

Bu gün Saqareco Bələdiyyəsinin meri - Avtandil Qulikaşvili, Kaxeti Dövlət Müvəkkili, yerli özünüidarəetmə nümayəndələri və resurs mərkəzinin rəhbəri Lela Fanozişvili ilə birlikdə Saqareco bələdiyyəsinin Ləmbəli ictimai məktəbində Novruz bayramına həsr olunmuş tədbirdə iştirak edib.

Avtandil Qulikaşvili həm vətənlərini bəyram münasibətilə təbrik edib və bir daha qeyd edib:

“Vətəndaşlarım, sizi Novruz Bayramı və yazın gəlişi, eləcə də Ramazan orucunun başlanması münasibətilə təbrik edirəm! Bu gün mən sizi bu bayram münasibətilə təbrik etmək üçün buradayam. Bu tədbirə, göstərdiyiniz bayrama görə sizə təşəkkür etmək istəyirəm. iş - müəllimlər, tələbələr, valideynlər.

Hər birinizə və ailənizə uğurlar, xoşbəxtlik və firavanlıq arzulayıram. Novruz bayramı ailə bayramıdır və Gürcüstan vahid ailə olaraq etnik və dini mənsubiyyətindən asılı olmayaraq hər bir Gürcüstan vətəndaşı bu bayramı bənləşür.

Bizi çoxillik dostluq bağlayır, biz bir ölkənin övladlarıyıq. Bizi ilk növbədə sülh və firavanlıq arzusu birləşdirir!”



მიზანი – თითოეულ ადამიანზე ზრუნვა განსაკუთრებული საქმიანობის მეთოდით

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სამსახურის ორგანიზებით და საერთაშორისო ასოციაციის „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ მხარდაჭერით, **საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერმა, აშოანდომ ბულიკაშვილმა**, მოადგილესთან - ბიორბი ლალიაშვილიან ერთად რამდენიმე ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრებ განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირს, წინასწარ შერჩეული სტანდარტებისა და ზომის გათვალისწინებით, ეტლები გადასცა.

„ჩვენი მიზანია, მაქსიმალური მხარდაჭერა გამოვხატოთ მსგავსი პრობლემების მქონე მოქალაქეების მიმართ და მდგომარეობა შევუმსუბუქოთ“. ეს პროგრამა გაგრძელდება და ეტაპობრივად ყველა ბენეფიციარს დაეკმაყოფილებოთ“. - საუბრისას აღნიშნა ავთანდილ გულიკაშვილმა.



რედაქტორი: **თინათინ ილაური**

„გარეჯის მაცნე“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“
 გაზეთი რეგისტრირებულია სსიპ „საჯარო რეესტრში“ სარეგისტრაციო ნომერი 281366; საიდ-
 ენტ. კოდი 438107460. ტირაჟი – 300
 რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო,
 დ. აღმაშენებლის ქ. № 15,
 გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნე“-ში
 დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა შპს „კოლორ პრეს“-ში.
 ტელეფონი: 599 851 143
 ელ. ფოსტა: garejismacne11@gmail.com